1801 წლისთვის, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ქართველი ებრაელები უკვე შეადგენდნენ ქართული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს. როგორც ვაჭრებს, მათ თავიანთი ადგილი ეკავათ ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაში – თავიანთი უნიკალური კულტურითა და ტრადიციებით. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებამ გამოიწვია იმპერიის სხვა კუთხეებიდან აშქენაზი ებრაელების თანდათანობით ჩამოსვლა. პარალელურად, რუსეთის კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავდა ებრაელთა უფლებებს, საქართველოს ტერიტორიაზეც გავრცელდა.

ისტორიულად, კავკასია კონფლიქტური რეგიონია. თუმცა, ცხადია, რომ ქართველი ებრაელები წარმატებით თანაარსებობდნენ ადგილობრივ ქართულ არაებრაულ მოსახლეობასთან 25 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საქართველოს ისტორიაში ებრაელებსა და არაებრაელებს შორის გარკვეული შეტაკებები და უთანხმოებები არ

isting Georgian literature points that Georgian Jews and Georgian non-Jews had a long history of comfortable living together.

The 20th century was the time of the gradual spread of Zionism in Georgia, as well as the period when attempts were made in Soviet Georgia to collectivize and unite local Jews into collective farms.

According to Altshuler (2012), in the 1950s 29% of the synagogues which remained open in the Soviet Union were in Georgia (26 of 90), while only 2.3% of the Soviet Union's Jewish population lived in that republic. This illustrates, on one hand, the low level of secularization in Georgian Jewish society, and, on the other hand, the lighter approach of local Soviet authorities to the religious practices in Georgia. Nevertheless, the cases of persecutions of prominent Jewish figures are known, such as the arrest of Tskhinvali rabbis in 1930s as well as the persecutions of prominent Jewish intellectuals and the director of the Historical and Ethnographical Museum of the Jews of Georgia over the Zionism charges in the 1950s.

During World War II Georgian SSR served as an important anchor point

ხდებოდა, თუმცა ამ საკითხზე არსებული ქართული ლიტერატურა მიუთითებს, რომ ქართველ ებრაელებსა და ქართველ არაებრაელებს ერთად ჰარმონიული თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია აქვთ.

XX საუკუნე – ესაა საქართველოში სიონიზმის თანდათანობითი გავრცელების პერიოდი. ამ დროის საბჭოთა საქართველოში ხდებოდა ადგილობრივი ებრაელების კოლმეურნეობებში გაერთიანების მცდელობები. სწორედ ამ პროცესის შედეგად წარმოიშვა ებრაული კოლმეურნეობა „წითელი გორა“. ის მდებარეობდა კახეთში, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და მან 1970-იან წლებამდე იარსება.

ალტშულერის (2012) მიხედვით, 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირში გახსნილი სინაგოგების 29% საქართველოზე მოდიოდა (26 სინაგოგა – 90-იდან), ხოლო საბჭოთა კავშირის ებრაელი მოსახლეობის მხოლოდ 2,3% ცხოვრობდა ამ რესპუბლიკაში. ეს ასახავს, ერთი მხრივ, საქართველოს ებრაულ საზოგადოებაში სეკულარიზაციის დაბალ დონეს და, მეორე მხრივ, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მსუბუქ მიდგომას საქართველოში რელიგიური პრაქტიკისადმი. მიუხედავად ამისა, ცნობილია გამოჩენილი ებრაელი მოღვაწეების დევნის შემთხვევები, როგორიცაა 1930-იან წლებში ცხინვალის რაბინების დაპატიმრება, ასევე, გამოჩენილი ებრაელი ინტელექტუალებისა და საქართველოს

in the evacuation of civilian population from Nazi-occupied North Caucasus and Crimea and a place for temporary relocation of the refugees from other parts of the USSR. Organized evacuation from Crimea and North Caucasus was ongoing through the Georgian SSR, with some of the evacuated being temporarily located in the republic.

In the same period, a non-organized wave of refugees came to Georgia through the Caucasian mountains. This influx of population, a considerable part of which constituted Ashkenazi Jewry from the European part of the USSR, including large cities, distorted the usual way of life in Soviet Georgia and, most probably, brought modernization tendencies and facilitated building of new connections and relations in local communities.

Soviet time was the period of large-scale Socialist construction in Soviet Georgia. With the new ideology and, especially during the first years of the USSR, romanticizing of the “new order” and enthusiasm for the creation of a “new Soviet person”, collectivization and industrialization processes take place in the country. With the construction of factories and building of new housing estates, the

ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის დევნა სიონიზმის ბრალდებით 1950-იან წლებში.

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს რესპუბლიკა იყო მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კავკასიიდან და ყირიმიდან ჩამოსული მშვიდობიანი მოსახლეობა აფარებდა თავს. იგი, ასევე, დროებითი თავშესაფარი იყო სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებიდან დევნილი ლტოლვილებისთვის. წინასწარი საარქივო კვლევა აჩვენებს, რომ ყირიმიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ორგანიზებული ევაკუაცია საქართველოს სსრ-ის გავლით მიმდინარეობდა და ევაკუირებულების ნაწილი დროებით ჩერდებოდა რესპუბლიკაში.

ამავე პერიოდში კავკასიის მთების გავლით საქართველოში დევნილთა არაორგანიზებული ტალღა შემოვიდა. მოსახლეობის ამ ნაკადმა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა სსრკ-ის ევროპული ნაწილიდან, მათ შორის დიდი ქალაქებიდან წამოსული აშქენაზი ებრაელები, შეცვალა საბჭოთა საქართველოში ჩვეული ცხოვრების წესი, სავარაუდოდ, მოდერნიზაციის ტენდენციებიც შემოიტანა და ხელი შეუწყო საქართველოში ადგილობრივ საზოგადოებებთან ახალი კავშირებისა და ურთიერთობების დამყარებას.

საბჭოთა დრო საბჭოთა საქართველოში ფართომასშტაბიანი სოციალისტური მშენებლობის პერიო-

population influx from various parts of the USSR to Georgia takes place.

დია. ქვეყანაში კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესები ახალი იდეოლოგიითა და, განსაკუთრებით, სსრკ-ის პირველ წლებში, „ახალი წესრიგის“ რომანტიზებითა და „ახალი საბჭოთა პიროვნების“ შექმნის ენთუზიაზმით მიმდინარეობს. ქარხნებისა და ახალი საცხოვრებელი უბნების აშენებით საქართველოში ხდება მოსახლეობის შემოდიდება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან.



Entrance gate to the currently open for visitors synagogue, Akhaltsikhe.
ვიზიტორთათვის მოქმედი სინაგოგის შესასვლელი ჭიშკარი, ახალციხე.

Endnotes/ სქოლიო

¹ 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტები საქართველოში მცხოვრები უმცირესობების გადასახლების თაობაზე. 20 ნოემბერი 2020, ანტონ ვაჭარიძე [Official documents from 1944 regarding the deportation of minorities living in Georgia. 20 november 2020, Anton Vacharidze] https://idfi.ge/ge/official_documents_of_1944_on_the_deportation_of_minorities_living_in_southern_georgia

NEW ECONOMIC POLICY (NEP) AND EARLY SOVIET NATIONALITIES POLICY VIS A VIS ETHNIC AND RELIGIOUS MINORITIES IN SOVIET GEORGIA

Early Soviet time, and especially the 1920s was characterized by the process of development of Soviet state structures and the development of the ruling party's ideology regarding the national and ethnic issues. The Soviet Union was a multinational country from its very birth, and the authorities were supposed to develop a successful nationalities policy to keep the country together and in accordance with the line of Marxism-Leninism which was the base of the party's ideology.

Yuri Slezkine in his article "The USSR as a Communal Apartment, or How The Socialist State Promoted Ethnic Particularism" speaks about how Soviet new national politics was born in the Soviet Union. According to him, Lenin's acceptance of the reality of nations and "national rights" was one of the most uncompromising position he ever took¹.

The korenization policy of the 1920s was an important period of the early Soviet nationalities policy. This policy was based on the idea of inte-

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (NEP) და ადრეული საბჭოთა ეროვნებაების პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში

ადრეული საბჭოთა დრო, განსაკუთრებით კი 1920-იანი წლები, ეროვნულ და ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მმართველი პარტიის იდეოლოგიის განვითარებით ხასიათდებოდა. საბჭოთა კავშირი შექმნის დღიდან მრავალეროვან ქვეყანას წარმოადგენდა, შესაბამისად, ხელისუფლებას უნდა შეემუშავებინა წარმატებული ეროვნული პოლიტიკა, რათა შეენარჩუნებინა ქვეყანა მარქსიზმ-ლენინიზმთან შესაბამისობაში, რომელიც პარტიის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა.

იური სლესკინი თავის სტატიაში – „სსრკ, როგორც კომუნალური ბინა, ან როგორ შეუწყო სოციალისტურმა სახელმწიფომ ხელი ეთნიკურ პარტიკულარიზმს“ – საუბრობს იმაზე, თუ როგორ დაიბადა საბჭოთა კავშირში ახალი ნაციონალური პოლიტიკა. ავტორის მიხედვით, ლენინის მიერ ერების რეალობისა და „ეროვნული უფლებების“ გააზრება და მიღება ყველაზე უკომპრომისო პოზიცია იყო, რაც კი მას ოდესმე დაუკავებია.¹

ებრაული კოლმეურნეობები სსრკ-ის სხვადასხვა კუთხეში 1920-იანი წლების კორენიზაციის პოლიტიკის

gration of non-Russian nationalities into the government of particular Soviet republics. This was a period when nations and national minorities of the republics were promoted to administrative government with the goal of growing communist cadres. In particular, the national policy course of the korenization period was aimed at the inclusion of ethnic minorities in the large Soviet economy².

In many areas of the USSR Jews were involved in illegal trade and shadow economy as private trade was seen as illegal activity in the Soviet Union. The period of the New Economic Policy (NEP) was somewhat favorable for some of the private trading enterprises but as this policy was going to its end, the restrictions got harsher.

The beginning of this process was laid at the 12th Congress of the Communist Party in 1923³. As Jonathan Denkel Chen in his book, "Cultivation of the Red Earth" often analyzes and uses the policy of indigenization to explain the context of various issues, for example, partial indigenization began in 1923 and the goal was to transform ethnic minorities, especially those who lived in the border regions, to that they would be subordinated to the common Russian policy.

However, as Denkel Chen points

კვალდაკვალ შეიქმნა. ეს პოლიტიკა ეფუძნებოდა არარუს ეროვნებათა ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებში ინტეგრაციის იდეას. ეს იყო პერიოდი, როდესაც რესპუბლიკების ერები და ეროვნული უმცირესობები დაწინაურდნენ ადმინისტრაციულ მმართველობაში, რაც კომუნისტური კადრების გაზრდის მიზნით ხდებოდა. მონოეთნიკური, მათ შორის ებრაული, კოლმეურნეობების იდეა, ასევე, მომდინარეობდა კორენიზაციის იდეებიდან.²

საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში ებრაელები არალეგალურ ვაჭრობას ეწეოდნენ და ჩრდილოვან ეკონომიკას მიეკუთვნებოდნენ, ვინაიდან კერძო ვაჭრობა არალეგალურ საქმიანობად მიიჩნეოდა საბჭოთა კავშირში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდი უმეტესწილად ხელსაყრელი აღმოჩნდა ზოგიერთი კერძო სავაჭრო საწარმოსთვის, მაგრამ, რამდენადაც ეს პოლიტიკა დასასრულს უახლოვდებოდა, შეზღუდვები გამკაცრდა.

ამ პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1923 წელს კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე.³ ჯონათან დეკელ-ხენი თავის წიგნში „წითელი მიწის დამუშავება“ ხშირად ახანალიზებს კორენიზაციის პოლიტიკას და იყენებს მას სხვადასხვა საკითხის კონტექსტის ასახსნელად. მაგალითად, ნაშრომის მიხედვით, ნაწილობრივი კორენიზაცია 1923 წლიდან დაიწყო, რომლის მიზანი იყო, ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებთა ისე გარდაქმნა, რომ საერთო რუსულ პოლიტიკას დაქვემდებარებოდნენ.

out, in the late 1930s, this direction of politics had problems, on the one hand, Stalin, who was in favor of the assimilation of the Jewish nation, and on the other hand, Mikhail Kalinin, who supported the anti-assimilation policy, in the end, Stalin's idea won, and in 1936-1937, the Koreanization policy was abandoned.

The leadership of the Soviet Union decided to support the ethnic minorities and to promote the development of language and culture in specific national territories. In addition, the issue of education had to be resolved – as, according to the Soviet policy of time, everyone was supposed to learn how to read and write, – and economic policy control was relatively relaxed, trade and private ownership were allowed⁴.

During the period of NEP, as Slezkine suggests, the Soviet Union took a completely different direction of politics of nationalities from the Russian Empire. Nevertheless, according to Slezkine, “truly father” of nationality politics was Stalin who was leading „Great transformation” 1928-1932 Soviet state financed historic national projects such that no other state has ever done before⁵.

The Soviet authorities began to accept ethnic minorities in high positions and to incorporate them to some ex-

თუმცადა, როგორც დეკლ-ხენი აღნიშნავს, 30-იანი წლების ბოლოს პოლიტიკის ამ მიმართულებას პრობლემები გაუჩნდა. ერთი მხრივ, იყო სტალინი, რომელიც ებრაელი ერის ასიმილაციის მომხრე იყო, ხოლო, მეორე მხრივ, მიხეილ კალინინი, რომელიც ანტიასიმილაციურ პოლიტიკას უჭერდა მხარს. საბოლოო ჯამში, სტალინის იდეამ გაიმარჯვა და 1936-1937 წლებში კორეანიზაციის პოლიტიკა გაუქმდა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მხარი დაეჭირათ ეთნიკური უმცირესობებისთვის და ხელი შეეწყობთ ენისა და კულტურის განვითარებისთვის კონკრეტულ ნაციონალურ ტერიტორიებზე. გარდა ამისა, განათლების საკითხიც უნდა მოგვარებულიყო, იმდროინდელი საბჭოთა პოლიტიკის მიხედვით, ყველას უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა, ასევე შედარებით შერბილდა ეკონომიკური პოლიტიკის კონტროლი, დაიშვა ვაჭრობა და კერძო მფლობელობა.⁴

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს, როგორც სლევკინი ვარაუდობს, საბჭოთა კავშირმა რუსეთის იმპერიისგან სრულიად განსხვავებული ერვნული პოლიტიკა დაისახა. თუმცა ის, ასევე, აღნიშნავს, რომ ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი „მამა“ სტალინი იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა „დიდი ტრანსფორმაციის“ პოლიტიკას 1928-1932 წლებში. საბჭოთა სახელმწიფო აფინანსებდა ისტორიულ ნაციონალურ პროექტებს, რაც მანამდე არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ გაუკეთებია⁵.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ეთნიკური უმცირესობების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა და მათი

tent in the decision-making process. After adopting a new economic policy (NEP), the Soviet authorities of Georgia started to encourage small businesses. It was during this period that Georgian Jews resumed their work and sold kosher products through Jewish cooperatives, for some time they were closed on Saturdays⁶.

The Soviet Georgian policy towards Jews was determined and influenced by the processes taking place in the center of the USSR (Moscow). The Communist Party saw the need to have people of all nationalities among its supporters. This was still the period from 1917-21 when in the Soviet Union, apart from the Communist Bolshevik Party, there were various left-wing parties that had their supporters⁷. The Communist Party actively worked in order to gain more followers from Jewish community and to make the Bolshevik party more popular in Jewish community.

Since every republic included in the Soviet Union had its own communist party branch, which actually represented a regional section, it was necessary to create a Jewish section (the so-called Evsection), which would work specifically on the issue of this nation⁸.

Such big transformations, which accompanied korenization and in par-

უმეტესწილად გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. საქართველოს საბჭოთა ავტორიტეტებმა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიღების შემდეგ დაიწყეს მცირე ბიზნესების წახალისებაც. სწორედ ამ პერიოდში ქართველმა ებრაელებმა განაახლეს მუშაობა და ებრაული კოოპერატივების საშუალებით ქოშერის პროდუქციის გაყიდვა. რალაც პერიოდი კოოპერატივები შაბათობით ისვენებდნენ.⁶

ებრაელებზე მიმართული საბჭოთა ქართული პოლიტიკა განპირობებული იყო და ზეგავლენას განიცდიდა ცენტრში (მოსკოვში) მიმდინარე პროცესებისგან. კომუნისტური პარტია ხედავდა, რომ მას სჭირდებოდა საკუთარი მხარდამჭერების რიგში ყველა ეროვნების ხალხი ჰყოლოდა. ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირში, გარდა კომუნისტური ბოლშევიკური პარტიისა, 1917-1921 წლებში არსებობს სხვა მემარცხენე პარტიებიც, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მომხრეები.⁷ კომუნისტური პარტია აქტიურად მუშაობდა, რათა მეტი მომხრე მოეზიდა ებრაელების სახით და ბოლშევიკური პარტია უფრო პოპულარული გამხდარიყო ებრაულ საზოგადოებაში.

ვინაიდან საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა სახელმწიფოს ჰყავდა საკუთარი კომუნისტური პარტია, რომელიც, სინამდვილეში, ცენტრალური პარტიის რეგიონულ განყოფილებას წარმოადგენდა, კომუნისტური პარტიის შიგნით საჭირო გახდა ებრაული სექციის შექმნაც (ე.წ. „ევსექცია“), რომელიც კონკრეტულად ამ ერის საკითხზე იმუშავებდა.⁸

ასეთი დიდი გარდაქმნები, რაც

ticular the new economic policy of the Soviet Union, would obviously cause big problems, which in turn were caused by the desire of the then Soviet authorities, especially Stalin, to quickly transform the Soviet Union into a self-sufficient state.

The national policy of korenization also contributed to the greater involvement of ethnic minorities in the activities of the state and other institutions, in addition to increasing access to education, which also led to the transition of ethnic minorities to a better socio-economic level.

As Slezkine points out, Stalin promoted national politics during the Great national transformation, but Stalin also adopted the “Great Retreat” policy in the mid-1930s, which reduced the “paces of national political development” and it turned into other type ethnic politics during World War II, when it was necessary to explain that nationality stood before class⁹.

კორენიზაციისა და, კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას ახლდა, ცხადია, გამოიწვევდა დიდ პრობლემებს, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მაშინდელი საბჭოთა ავტორიტეტების, განსაკუთრებით სტალინის სურვილით, რათა სწრაფად მოეხდინა საბჭოთა კავშირის თვითკმარ სახელმწიფოდ გარდაქმნა.

კორენიზაციის ეროვნულმა პოლიტიკამ, ასევე, ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობების მეტ ჩართულობას სახელმწიფო თუ სხვა ინსტიტუტების საქმიანობაში. გარდა ამისა, განათლების ხელმისაწვდომობაც გაიზარდა, რამაც ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება გამოიწვია.

როგორც სლევკინი აღნიშნავს, სტალინმა ხელი შეუწყო ეროვნებებზე მიმართულ პოლიტიკას დიდი ეროვნული ტრანსფორმაციის დროს, მაგრამ ასევე სტალინმა 30-იანი წლების შუა ხანებში გაატარა „დიდი შემობრუნების“ პოლიტიკაც, რომელმაც შეამცირა „ეროვნული პოლიტიკის განვითარების ტემპები“ და დიდი სამამულო ომის დროს იგი გადაიზარდა სხვა ფორმის ეთნიკურ პოლიტიკაში, როდესაც საჭირო გახდა იმის ახსნა, რომ კლასზე წინ ეროვნული კუთვნილება იყო.⁹

Endnotes/ სქოლიო

¹ Slezkine, Yuri. "The USSR as a Communal Apartment, or How The Socialist State Promoted Ethnic Particularism".

² Farming the Red Land Jewish Agricultural Colonization and Local Soviet Power, 1924–1941, Jonathan L. Dekel-Chen, p. 15.

³ M.S Agapova.

⁴ Farming the Red Land Jewish Agricultural Colonization and Local Soviet Power, 1924–1941, Jonathan L. Dekel-Chen, pp-17

⁵ Slezkine, Y. (1994). The USSR as a Communal Apartment, or How the Socialist State Promoted Ethnic Particularism. Slavic Review 53 (2): 414–452.

⁶ Paikin, Evkombed Gruzii, p. 22.

⁷ Jewish Nationality and Soviet Policies „THE JEWISH SECTIONS OF THE CPSU, 1917-1930 By Zvi Y. Gitelman, pp-8.

⁸ Ibidem, [იქვე] pp-123.

⁹ Slezkine, Ibidem [იქვე].



Roof decoration of the small synagogue in Akhaltsikhe – the building which was damaged during the Soviet period and the immediate aftermath and is still not renovated.

ახალციხის მცირე სინაგოგის სახურავის მორთულობა – შენობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში და შემდგომ პერიოდში დაზიანდა და დღემდე არ გარემონტებულა.

THE REALMS OF MEMORY: NEIGHBORLY LIFE IN CURRENT RECOLLECTIONS

During the field research phase, the research team has visited several locations in western and south-west Georgia, including Batumi, Adjara region, and Akhaltsikhe, Samtskhe-Javakheti region. The locations were chosen according to its history and historical population. In both regions Muslim and Jewish communities coexisted throughout history. Historically, Jews and Muslims were living peacefully in various regions of Georgia. Nevertheless, during the period of the Soviet Union, following its politics towards religion and nationalities, the overall picture has changed.

During World War 2 and immediately after it, following the decision of Stalin and Beria, the Turk-Meskhetian (Muslim community) population was resettled from the region of Samtskhe-Javakheti to the central Asian Soviet republics. Thousands of Muslims left Georgia, and after that population balance changed in the region. Since then, mostly Georgians, Armenians and Jews lived in Samtskhe-Javakheti. Another period when the population balance changed again was after the 1970ies, when the first large wave of Aliyah (the process

მეხსიერების სფეროები: მეზობლური ცხოვრება მიმდინარე მოგონებებში

საველე კვლევის ეტაპზე მკვლევართა ჯგუფი ეწვია რამდენიმე ლოკაციას დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ბათუმს, აჭარის რეგიონსა და ახალციხეს – სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ადგილები შეირჩა მათი ისტორიისა და იქ ისტორიულად მცხოვრები მოსახლეობის მიხედვით. აღნიშნულ რეგიონებში მუსლიმებსა და ებრაელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ და ეს მხოლოდ ამ ორი რეგიონისთვის არაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის პერიოდში, რელიგიისა და ეროვნების მიმართ იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკამ საერთო სურათი შეცვალა.

მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის შემდეგ სტალინისა და ბერიას გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან თურქულ-მესხური მოსახლეობა ცენტრალური აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში გადაასახლეს. საქართველო ათასობით მუსლიმმა დატოვა და მას შემდეგ რეგიონში მოსახლეობის შემადგენლობა შეიცვალა – სამცხე-ჯავახეთში, ძირითადად ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ. 1970-იანი წლების შემდეგ კიდევ ერთმა მოვლენამ შეცვალა მოსახლეობის ბალანსი ქვეყანაში, როდესაც სსრკ-ში დაიწყო ალიას (ებრაელი

of moving to Israel by the Jewish population) started in the USSR. Today, Georgians and Armenians mostly live in the region of Samtskhe-Javakheti and in Akhaltsikhe. Akhaltsikhe is a bordering city to Turkey.

RECOLLECTIONS ABOUT JEWS AND MUSLIMS

During the field research phase, the research team has collected a number of interviews with locals of various ethnic and religious backgrounds. The research team was trying to find out what kind of memories still exist in the society regarding their former Jewish and Muslim neighbors. The interviews with the people who could potentially remember the Soviet period took place in various locations – in the streets, neighborhoods and in the local markets, as well as in synagogues and mosques.

Ethnic Armenians who now populate the former Jewish district of Akhaltsikhe warmly recall their former Jewish neighbors. They also mentioned that there are still a lot of houses in the district which continue belonging to Jewish families. These people, who left for Israel in the 1970s and 1990s, according to our interlocutors, are visiting their childhood houses several times a year.

მოსახლეობის ისრაელში მიგრაციის პროცესი პირველი დიდი ტალღა. დღეს, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და ახალციხეში ქართველები და სომხები ცხოვრობენ. ახალციხე თურქეთთან მოსაზღვრე ქალაქია.

მოგონებები ებრაელებისა და მუსლიმების შესახებ

საველე კვლევის ეტაპზე მკვლევართა ჯგუფმა შეაგროვა არაერთი ინტერვიუ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის ადგილობრივებთან. მკვლევართა ჯგუფი ცდილობდა გაერკვია, თუ როგორი მოგონებები რჩება საზოგადოებაში მათ ებრაელ და მუსლიმ ყოფილ მეზობლებთან მიმართებაში. ინტერვიუები იმ ადამიანებთან, რომლებსაც პოტენციურად შეეძლოთ საბჭოთა პერიოდის გახსენება, ჩატარდა სხვადასხვა ადგილას – ქუჩებში, უბნებსა თუ ადგილობრივ ბაზრებზე, ასევე, სინაგოგებსა და მეჩეთებში.

ეთნიკური სომხები, რომლებიც ახლა დასახლებულნი არიან ახალციხის ყოფილ ებრაულ რაიონში, თბილად იხსენებენ წარსულში თავიანთ ებრაელ მეზობლებს. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი სახლია, რომელიც კვლავაც ებრაულ ოჯახებს ეკუთვნით. 1970-1990-იან წლებში ისრაელში წასული ეს ადამიანები, ჩვენი თანამოსაუბრეების თქმით, ბავშვობის სახლებს წელიწადში რამდენჯერმე სტუმრობენ.

INTERVIEW VII

Respondent: Are you Georgian?

Interviewer: Well, have you lived in Akhaltsikhe for a long time? Or at all?

Respondent: We are from Meskhi Akhaltsk, but we understand Armenian and Russian.

Interviewer: Do you remember the Jews? Did you have Jewish neighbors or did they live there?

Respondent: “Kaneshna”, all Jews lived there, Georgia is such a “strana”, there are all nationalities, there are Armenians, Yerevanites, Russians, Georgians, they are very good people.

Interviewer: Are you Armenian?

Respondent: Yes, I am Armenian, my grandmother is Georgian.

Interviewer: Do you remember what the Jews were busy with, that issue is very interesting for us.

Respondent: There were many Jews. They had shops.

Interviewer: Are there any stores left?

Respondent: There are two families left here, but no shops.

Georgians also often recall their

ინტერვიუ VII

რესპონდენტი: ქართველები ხართ?

ინტერვიუერი: აბა რა, თქვენ დიდი ხანია ცხოვრობთ ახალციხეში? თუ სულ?

რესპონდენტი: ჩვენ მესხი ახალციხი ვართ, მაგრამ სომხური, რუსული გვესმის.

ინტერვიუერი: თქვენ გახსოვთ ებრაელები? მეზობლები გყავდათ ებრაელები თუ იქით ცხოვრობდნენ?

რესპონდენტი: „კანეშნა“, ჩვენს იქით ცხოვრობდნენ სულ ებრაელები, საქართველო ისეთი „სტრანა“ არის, იქ ყველა ეროვნებაა, არიან სომხები, ერევნელები, რუსები, ქართველები, ძალიან კარგი ხალხია.

ინტერვიუერი: თქვენ სომეხი ხართ?

რესპონდენტი: დიახ, სომეხი ვარ, ბებია ქართველია.

ინტერვიუერი: ხომ არ გახსოვთ, ებრაელები რითი იყვნენ დაკავებული, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ეგ საკითხი.

რესპონდენტი: ებრაელები ბევრი ცხოვრობდა, მაღაზიები ჰქონდათ.

ინტერვიუერი: დარჩა მაღაზიები?

რესპონდენტი: დარჩა აქ ორი ოჯახია, მაგრამ მაღაზია არა.

ქართველები ინტერვიუებში ხშირად იხსენებენ ებრაელ მეზობლებსაც. როგორც წესი, მათი მოგონებები

Jewish neighbors in their interviews. Usually their memories are very positive. We often hear that they were living calmly and peacefully, that Jewish community was very important for the city's economy and that they still have touch with their Jewish friends – who, in most cases, now live in Israel.

INTERVIEW II

Interviewer: Do you remember that period when Jews lived here?

Respondent: How can I not remember, I also had a classmate

Interviewer: Really? What was his last name?

Respondent: It was Manasherishvili.

Interviewer: Oooh...

Respondent: Now, just now, you see, when you came in, if you enter the bridge on the right and if you turn right, if you enter directly, this area is still called the Jewish district.

Interviewer: Is it still called that?

Respondent: Even now, we call it that, that is, the old people, who we live in, it is the Jewish district, we still call it the Jewish district.

Interviewer: How much was it? What were they busy with? What were they doing?

ძალიან დადებითია. ხშირად გვესმის, რომ ისინი მშვიდად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, რომ ებრაული თემი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალაქის ეკონომიკისთვის და, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ ურთიერთობა ისრაელში მცხოვრებ ებრაელ მეგობრებთან.

ინტერვიუ II

ინტერვიუერი: თქვენ ხომ არ გახსოვთ აქ ებრაელები რომ ცხოვრობდნენ ის პერიოდი?

რესპონდენტი: როგორ არ მახსოვს, კლასელიც მყავდა.

ინტერვიუერი: მართლა? რა გვარის იყო?

რესპონდენტი: მანაშერიშვილი იყო.

ინტერვიუერი: ოოოჰ...

რესპონდენტი: ახლაც, აი, ეხლაც ნახეთ, თქვენ რომ შემოხვედით, მარჯვნივ ხიდში რომ შემოხვედით და მარჯვნივ რომ გაუხვიეთ, პირდაპირ რომ შემოდიხარ, დღემდე ამ უბანს ებრაელების უბანს ეძახიან.

ინტერვიუერი: ახლაც ასე ეძახიან?

რესპონდენტი: ახლაც ასე ვუძახით, ანუ ძველი ხალხი ვინც ვცხოვრობთ დღემდე ებრაელების უბანია ეგა, დღემდე ებრაელების უბანს ვეძახით.

ინტერვიუერი: უი, რამხელა იყო. რითი იყვნენ დაკავებული? რას აკეთებდნენ?

Respondent: Jews? None of them physically worked, trading, as usual, “speculators” were called that then, they were called that during the communist era.

One and more interesting topic is the issue of Muslim memory both within the Georgian and Armenian community. Their memory about Muslims who used to live in the region seems to be “deleted”, vanished. When asked a question “Do you remember anything about Muslims who used to live here, stories from childhood or anything”, the most common answer in the region of Samtskhe-Javakheti was: “Which Muslims? Muslims never lived here”. It should also be mentioned that during the part of the interview when the question regarding the Muslim population was asked, often hidden aggression was sensible from respondents, especially from the interlocutors of the ethnic Armenian background.

Ethnic Armenians in Georgia have strong cultural and religious identity, including in the region of Akhaltsikhe. They also observe the general political agenda of the state of Armenia regarding the national and religious issues, which is based on juxtaposing Armenia to Turkey and Azerbaijan. Based on this, it could be assumed that these geopolitical issues make Armenian respondents hide their memory or some

რესპონდენტი: ებრაელები? ფიზიკურად არც ერთი არ მუშაობდა, ვაჭრობა, როგორც ყოველთვის, „სპეკულიანტები“. მაშინ ეგრე ეძახდნენ, კომუნისტების დროს ეგრე ეძახდნენ.

ერთ-ერთი საინტერესო თემაა მუსლიმური მეხსიერების საკითხი, როგორც ქართულ, ასევე სომხურ თემში. მათი მეხსიერება მუსლიმებზე, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ რეგიონში, როგორც ჩანს, „ნაშლილია“, გამქრალია. კითხვაზე „გახსოვთ რამე აქ მცხოვრებ მუსლიმებზე, ბავშვობის ისტორია თუ სხვა“, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო: „რომელი მუსლიმები? მუსლიმები აქ არასოდეს ცხოვრობდნენ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს იმ ნაწილში, როდესაც კითხვა მუსლიმ მოსახლეობას ეხებოდა, ხშირად ფარული აგრესია იგრძნობოდა რესპონდენტების მხრიდან, განსაკუთრებით ეთნიკურად სომხური წარმომავლობის თანამოსაუბრეებისგან.

ეთნიკურ სომხებს საქართველოში ძლიერი კულტურული და რელიგიური იდენტობა აქვთ, მათ შორის ახალციხის რეგიონში. ისინი, ასევე, აკვირდებიან სომხეთის სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკურ დღის წესრიგს ეროვნულ და რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ემყარება სომხეთის თურქეთთან და აზერბაიჯანთან ისტორიულად ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღ-

information related to Muslims in the same city, or their memory becomes repressed by the current political agenda, resulting in the lacunas, when it goes about the “uncomfortable” memory.

Another historical fact and reason why ethnic Armenians from the Samtskhe-Javakheti feel uncomfortable with the Muslim topic during interviews could be related with the local history, and namely with Turkish genocide against ethnic Armenians during beginning of the 20th century. This was the period when the Armenian population of nowadays Turkey tried to find a shelter in the neighboring countries. Many ethnic Armenians found a refuge in Georgia during that period. Hereby, the majority of Armenians in Akhaltsike are descendants of those who came to these territories escaping Turkish genocide. It could be assumed that communicative memory¹ regarding the Muslim neighbors is strongly repressed in their memory, and this could create the hidden aggression which the research team could feel when mentioning Muslims during the interview.

As it was mentioned above, the Turk-Meskhetian population was resettled from Samtskhe-Javakheti in the 1940ies, and later on, in the 1970ies, the Jewish population started to leave

ნიშნული გეოპოლიტიკური საკითხები სომეხ რესპონდენტებს აიძულებს დამალონ თავიანთი მეხსიერება ან გარკვეული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იმავე ქალაქში მუსლიმთა ცხოვრებასთან, ან შესაძლოა მათი მეხსიერება რეპრესირებულია მიმდინარე პოლიტიკური დღის წესრიგით, რაც წარმოქმნის გარკვეულ ბზარებს, როდესაც საქმე «არასასიამოვნო» მეხსიერებას ეხება.

არსებობს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც შესაძლოა დასახელდეს იმის მიზეზად, თუ რატომ გრძნობდნენ თავს უხერხულად სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური სომხები ინტერვიუს დროს მუსლიმი თემის ხსენებისას. ეს ფაქტი უკავშირდება სომეხი ხალხის ისტორიას, კერძოდ, XX საუკუნის დასაწყისში თურქთა მხრიდან მომხდარ სომეხთა გენოციდს. გენოციდის შემდეგ დღევანდელი თურქეთის სომხური მოსახლეობა მეზობელ ქვეყნებში ცდილობდა თავშესაფრის პოვნას. იმ პერიოდში ბევრმა ეთნიკურმა სომეხმა თავი საქართველოს შეაფარა. ახალციხეში სომხების უმეტესობა მათი შთამომავალია, ვინც ამ ტერიტორიებზე თურქეთის გენოციდს გამოექცა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუსლიმ მეზობლებთან დაკავშირებით კომუნიკაციური მეხსიერება მათ მეხსიერებაში ძლიერად არის რეპრესირებული და, შესაძლოა, ეს იყოს იმ ფარული აგრესიის მიზეზიც, რომელიც მკვლევართა ჯგუფმა ინტერვიუს დროს შეამჩნია, როცა კითხვა მუსლიმთა რეგიონში ცხოვრებას შეეხო¹.

Soviet Georgia. This time range appears to be lost in ethnic Armenian communicative memory about Muslims and Jews in the region of Samtskhe-Javakheti, or Armenian state geopolitical influence makes this memory to be repressed.

The interlocutors of the ethnic Georgian background seem to also have no communicative memory regarding the Muslim population of the region due to a large time distance from the events described. Nevertheless, they do have historical information regarding the local Muslims in their minds. As a rule, they follow up the questions regarding the local Muslim community with a Soviet Union narrative about this issue, saying some historical facts. They usually recall how Stalin and Beria resettled the local Muslims from Akhaltsikhe and the neighboring locations, and since then no Muslims are living there.

INTERVIEW VIII

Interviewer: They mentioned the Abrashka shop.

Respondent: Abrashka's shop was in the center.

Interviewer: So it was in the center...

Respondent: It was in the center

Interviewer: I mean, not here..

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1940-იან წლებში სამცხე-ჯავახეთიდან თურქ-მესხური მოსახლეობა გადაასახლეს, მოგვიანებით კი, 1970-იან წლებში, ებრაელმა მოსახლეობამ დაიწყო საბჭოთა საქართველოს დატოვება. ეს დროის დიაპაზონი, როგორც ჩანს, დაკარგულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუსლიმებისა და ებრაელების შესახებ ეთნიკურ სომეხთა კომუნიკაციურ მეხსიერებაში, ან სომხური გენოციდის ისტორია ამ მეხსიერების რეპრესირებას ახდენს მოსახლეობაში.

ეთნიკურად ქართველ თანამოსაუბრეებს, როგორც ჩანს, არ აქვთ კომუნიკაციური მეხსიერება რეგიონის მუსლიმ მოსახლეობასთან დაკავშირებით აღწერილი მოვლენებისგან დიდი დროის გასვლის გამო. მიუხედავად ამისა, ისინი ფლობდნენ ისტორიულ ფაქტებს ადგილობრივი მუსლიმების შესახებ და, როგორც წესი, ადგილობრივ მუსლიმ თემთან დაკავშირებულ კითხვებს საბჭოთა კავშირის ნარატივით პასუხობდნენ, იხსენებდნენ რა რამდენიმე ისტორიულ ფაქტს, მაგალითად იმას, რომ სტალინმა და ბერიამ ადგილობრივი მუსლიმები ახალციხიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან გადაასახლეს და მას შემდეგ იქ მუსლიმები აღარ ცხოვრობენ.

ინტერვიუ VIII

ინტერვიუერი: რალაცა აბრაშკას მაღაზია ახსენეს...

რესპონდენტი: აბრაშკას მაღაზია ცენტრში იყო.

Respondent: No, there were no nuts, there he sold what is called... pieces.

Interviewer: That is, it is towards Rustaveli Street..

Respondent: Towards Rutaveli Street, but it was not his property, he worked as a salesman himself.

Interviewer: It's clear... the lady next to the synagogue told us And that's why we came.

Respondent: It was a Jewish shop, there was no such thing, there was a shop here, a Jew worked as a salesman, that was the topic.

Interviewer: So they had a cloth shop?

Respondent: Yes, if Jewish kosher was sold, they would not have such a store.

Interviewer: And was kosher sold anywhere?

Respondent: One or two were sold back and forth, if you were in the synagogue, it was his boy, Simonas, who was fed up, Simona was doing it.

Interviewer: When before or now?

Respondent: Before, now he died

Interviewer: They didn't even need it now..

ინტერვიუერი: ანუ ცენტრში იყო...

რესპონდენტი: ცენტრში იყო.

ინტერვიუერი: ანუ აქ არა..

რესპონდენტი: არა, მაღაზიები არ იყო, იქ ყიდდა იმას, რა ქვია ნაჭრებს.

ინტერვიუერი: ანუ რუსთაველის ქუჩისკენ არის...

რესპონდენტი: ხო, რუსთაველის ქუჩისკენ, მაგრამ მაგისი არ იყო, თვითონ გამყიდველად მუშაობდა.

ინტერვიუერი: გასაგებია სინაგოგის გვერდით ქალბატონმა გვითხრა და მაგიტომ ჩამოვედით.

რესპონდენტი: იმენა ებრაული მაღაზია, ეგეთი რამე არ ყოფილა, აქ იყო მაღაზია, ებრაელი მუშაობდა გამყიდველად, ეგეთი თემა იყო თორე..

ინტერვიუერი: ანუ ნაჭრის მაღაზია ჰქონდათ?

რესპონდენტი: ჰო, ებრაული ქაშერი რომ გაყიდულიყო, ეგეთი მაღაზია არ ჰქონდათ.

ინტერვიუერი: და ქაშერი იყიდებოდა სადმე?

რესპონდენტი: ერთი ორი იყიდებოდა, აი, აქ, უკან, სინაგოგაში თუ იყავით თავის ბიჭია, ცხონებული სიმონასი, სიმონა აკეთებდა.

ინტერვიუერი: როდის, ეს ადრე თუ ახლა?

Respondent: They used to come from Tbilisi and buy from him...

Interviewer: Sure, do you remember?

Respondent: How come I wasn't here, if Jews lived here, there are many houses, here a Jew lived, there, there, next to it, there was a Jew above, there were many Jews...

Interviewer: That is, if we go to Rustaveli and ask for a former cloth shop, they will probably tell us?

Respondent: Well, they will tell you that this store has already been changed.

Interviewer: We know that, we were just curious.

Respondent: The previous atmosphere will no longer be there.

Interviewer: They mentioned something about Abrashka's shop.

Respondent: Abrashka's shop used to sell old pieces and other things, even rolls, by the meter, Abrashka lived here next door.

Interviewer: So you knew him personally.

Respondent: Yes, he had a white car and he was driving...

რესპონდენტი: ადრე, ახლა გარდაიცვალა.

ინტერვიუერი: ახლა არც სჭირდება...

რესპონდენტი: დაჟე თბილისიდან ჩამოდიოდნენ, ყიდულობდნენ მაგისგან...

ინტერვიუერი: გასაგებია, თქვენ გახსოვთ?

რესპონდენტი: როგორ არა, მე აქ ვიყავი, აქ ებრაელები რომ ცხოვრობდნენ, ბევრი სახლია, აქ ებრაელი ცხოვრობდა, იქა, იქა, გვერდით, აი, იქ, მაღლა ებრაელი, ებრაელები ბევრი იყვნენ..

ინტერვიუერი: ანუ ჩვენ რომ გავიდეთ რუსთაველისკენ და ვიკითხოთ ყოფილი ნაჭრის მაღაზია, გვეტყვიან ალბათ, ხომ?

რესპონდენტი: ხო, გეტყვიან, მარა ეს მაღაზია უკვე შეცვლილია.

ინტერვიუერი: ეგ ვიცით კი, გვაინტერესებდა უბრალოდ.

რესპონდენტი: ადრინდელი ატმოსფერო აღარ იქნება იქ.

ინტერვიუერი: რაღაცა აბრაშკას მაღაზია ახსენეს.

რესპონდენტი: აბრაშკას მაღაზია, ძველი ნაჭრები და რამე რო იყო იქ, რულონებიც, მეტრობით რო ყიდნენ, აბრაშკა აქ გვერდზე ცხოვრობდა.

ინტერვიუერი: ანუ, თქვენ იცნობდით პირადად.

Interviewer: And did he die here in Georgia or did he go to Israel with his family?

Respondent: Abrashka? Oh, I don't remember... the boy lived in Tbilisi, he didn't go to Israel.

Interviewer: Do you remember the last name?

Respondent: No, I don't remember the last name... I didn't even know, the girl also got married in Tbilisi, there were even neighbors next to me, they went to Germany, the boy went to Israel, he became my son's brother-in-law...

Interviewer: So he had three children?

Respondent: One boy, two girls, he married a girl in Tbilisi, that boy was my boy's brother, they grew up together since childhood, they write to each other in the district, in the neighborhood.

Interviewer: Do you have contact?

Respondent: Yes, they themselves came to Israel

Interviewer: We just visited the cemetery.

Respondent: Are you from Tbilisi? Jews remained there?! There is no one, Vapshe" (at all) left here.

რესპონდენტი: კი, თეთრი მანქანა ყავდა მაგიტ დადიოდა...

ინტერვიუერი: და აქ, საქართველოში გარდაიცვალა, თუ ისრაელში წავიდა ოჯახით?

რესპონდენტი: აბრაშკა? აუ, არ მახსოვს ბიჭი თბილისში ცხოვრობდა, არ წავიდა ისრაელში.

ინტერვიუერი: გვარი ხომ არ გახსოვთ?

რესპონდენტი: არა, გვარი არ მახსოვს არც ვიცოდი, გოგოც თბილისში გათხოვდა, ჩემ გვერდით კიდე მეზობლები იყვნენ ეგენი გერმანიაში წავიდნენ, ბიჭი წავიდა მერე ისრაელში, ხახამი გახდა ჩემი შვილის ძმაცაცი იყო...

ინტერვიუერი: ანუ, სამი შვილი ყავდათ?

რესპონდენტი: ერთი ბიჭი, ორი გოგო, გოგოც თბილისში გაათხოვა, ეგ ბიჭი ჩემი ბიჭის ძმაცაცი იყო, პატარაობიდან ერთად გაიზარდნენ, უბანში, მეზობლად, ერთმანეთში წერენ.

ინტერვიუერი: ანუ კონტაქტი გაქვთ?

რესპონდენტი: ჰო, ისრაელშია, თვითონაც იყვნენ ჩამოსულები.

ინტერვიუერი: ჩვენ ახლა სასაფლაოზე ვიყავით, დავათვალიერეთ.

რესპონდენტი: თქვენ თბილისელი ხართ, ხო, ალბათ? იქ კიდე დარჩა ებრაელობა, აქ „ვაფშე“ აღარ დარჩა.

Interviewer: Yes, yes.

Respondent: This one Simona's boy is Benoy, and one Yasha, Yasha has a house here, but sometimes it is in Germany, sometimes it is somewhere else.

Interviewer: That is, he hasn't sold it and is arriving.

Respondent: Yes, he has a house behind here, it is his mother-in-law's house.

Interviewer: Of course, you have a very nice city.

Respondent: It used to be better, if there were Jews, they were richer

Interviewer: Do you remember Muslims saying Muslims?

Respondent: They lived quietly,

Interviewer: That is, as "Apshina"-community let say.

Respondent: During Stalin's time, Muslims were expelled by Stalin, after that I have not seen a Muslim, but recently some people have arrived, Meskhels in the city, outside the city, I have heard of several families. Those who left pretended to have come back now. They don't look like that.

Interviewer: It is clear... thank you very much, this is how we collect in-

ინტერვიუერი: კი, კი.

რესპონდენტი: ეს ერთი, სიმონას ბიჭი დარჩა ბენოი, და ერთი იაშა, იაშას აქა აქვს სახლი მარა ხან გერმან-იაშია, ხან სად არი.

ინტერვიუერი: ანუ, არ გაუყიდია და ჩამოდის.

რესპონდენტი: ჰო, აქ უკან სახლი აქვს, თავის სიდედრის სახლია.

ინტერვიუერი: გასაგებია, ძალიან კარგი ქალაქი გაქვთ.

რესპონდენტი: ადრე უფრო კაი იყო, ებრაელები რო იყვნენ, უფრო მდიდარი.

ინტერვიუერი: მუსლიმები ხომ არ გახსოვთ თქვან, მუსლიმები?

რესპონდენტი: ჩუმად ცხოვრობდნენ,

ინტერვიუერი: ანუ როგორც „აფ-შინა“.

რესპონდენტი: ეგ სტალინის დროს მუსულმანები რომ გაყარა სტალინმა, იმის მერე მუსულმანი არ მინახია, ახლა ამ ბოლოს ვილაც-ვილაცები ჩამოვიდნენ, მესხელები ქალაქში, ქალაქგარეთ, რამდენიმე ოჯახი გამიგია არიან. წასულები, ვითომ, ახლა უკან ჩამოსულან. ისე არ ჩანან.

ინტერვიუერი: გასაგებია. დიდი, დიდი მადლობა, ასე ვაგრძელებთ ებრაელებზე ინფორმაციას და მუსლიმებიც გვაინტერესებს.

რესპონდენტი: ახლა გავიგე ებ-

formation about Jews and we are also interested in Muslims.

Respondent: Now I heard that Jews are buying houses in Tbilisi.

Georgian Jewish memory is also still alive and actively preserved in common memory. Jews, Georgians and Armenians are caring to preserve it, they continue relationships via online or meeting during celebrations of Jewish religious holidays, they gather and recall their past. Also Armenians and Georgians are caring about Jewish houses and properties when they are absent.

Georgian Jews never lose their interests in their ex habitats; they even pay salaries to the locals to care about their ancestors' graveyards. Synagogue is also under renovation and a small Georgian Jewish community still gathers there.

The cultural and ethnic picture in Batumi, Adjara region, is different nowadays, because, in contrast with Akhaltsikhe, where Muslim population doesn't exist anymore, Batumi has a strong Georgian Muslim community with its history, culture and needs. Also Batumi has a Georgian Jewish community with a long history of relationships with Muslims and Christians.

Both Muslim and Jewish commu-

რეაქციები თბილისში სახლებს ყიდულობენ.

ქართული ებრაული მეხსიერებაც ჯერ კიდევ ცოცხალია და კარგადაა შენარჩუნებული საერთო მეხსიერებაში. ებრაელები, ქართველები და სომხები ზრუნავენ მის შენარჩუნებაზე, აგრძელებენ ურთიერთობას ინტერნეტით ან პირადი შეხვედრების დროს, ებრაული რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისას იკრიბებიან და იხსენებენ წარსულს. ასევე სომხები და ქართველები ებრაელების სახლებსა და ქონებაზე ზრუნავენ, როცა ისინი არ არიან ქვეყანაში.

ქართველი ებრაელები არასოდეს კარგავენ ინტერესს თავიანთი წარსული საცხოვრებელი ადგილების მიმართ; თანხასაც კი უხდიან ადგილობრივებს, რომ წინაპართა სასაფლაოებზე იზრუნონ. სინაგოგაც რემონტის პროცესშია და იქ ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი ქართველი ებრაული თემი იკრიბება.

კულტურული და ეთნიკური სურათი ბათუმში, აჭარის რეგიონში, დღეს განსხვავებულია, რადგან ახალციხისგან განსხვავებით, სადაც მუსლიმი მოსახლეობა აღარ არსებობს, ბათუმს ჰყავს ძლიერი ქართული მუსლიმი თემი თავისი ისტორიითა და კულტურით. ასევე, ბათუმს ჰყავს ქართველი ებრაული თემი მუსლიმებთან და ქრისტიანებთან ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიით.

